,,დამტკიცებულია''
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილებით N35
14. 06. 2019 წ. ოქმი N8
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: მ.ბერიძე

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

	ს ა რ ჩ ე ვ ი	
მუხლი 1.	რეგულირების სფერო	
მუხლი 2.	ამოღებულია	
მუხლი 3.	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება 3.1. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
	3.2. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
	3.3. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
მუხლი 4.	სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია	
მუხლი 5.	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასვლის წესით ჩარიცხვა	
მუხლი 6.	უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შემდგომში შიდა მობილობა) პროცედურა	
მუხლი 7.	უნივერსიტეტიდან გარიცხული\ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა	
მუხლი 8.	უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება საერთაშორისო მობილობის ფარგლებში	
მუხლი 9.	სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვების წესი	
მუხლი 10.	კრედიტების აღიარების წესი	
მუხლი 11.	უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდეგი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი	
მუხლი 12.	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა	
მუხლი 13.	სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა	
მუხლი 14.	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	
მუხლი 15.	დამატებით სემესტრში დარეგისტრირება და დამატებითი საფასურის დამტკიცება	
მუხლი 16.	სტუდენტის შეფასების წესი	
მუხლი 17.	გამოცდების ჩაბარების ერთიანი წესი	
მუხლი 18.	აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი	
მუხლი19.	უნივერსიტეტის სტუდენტის უფლება- მოვალეობები	
მუხლი 20.	მსმენელის უფლება-მოვალეობები	
მუხლი 21.	სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები	

მუხლი 22.	სტუდენტთა წახალისების მექანიზმები	
მუხლი 23.	სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის წესი და კრიტერიუმები	
მუხლი 24.	სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა	

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამართლებრივი დოკუმენტია, რომლითაც განსაზღვრულია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული რეგულაციები.
უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" შემუშავებულია საქართველოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" კანონისა და საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.
ამ წესით რეგულირდება უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურა, სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სტუდენტის ცოდნის შეფასების პროცედურა და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის - ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

მუხლი 2. ამოღებულია

მუხლი 3. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება

უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად.

3.1. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
1. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე.

2. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

2.[1] ადმინისტრაციული რეგისტრაციისას აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი) დედანი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ამოღებულია;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის).

2.[2] ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ გამოიცემა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.

3. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტს და აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

3[1] ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების შესაბამისად.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის/მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეებისათვის აუცილებელი პირობაა მათ მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობის დასადასტურებლად უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი/განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქე წარმოადგენენ სერტიფიკატს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ ან გაივლიან გასაუბრებას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაში (გასაუბრების ვიდეოჩანაწერი განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე). სერტიფიკატის აღება აღნიშნულ პირებს შეუძლიათ უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში.

5. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, აგრეთვე შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებსა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებს.

6. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში ამ წესის მუხლი 6-ის შესაბამისად, მუხლი 8-ის და 10-ის შესაბამისად გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

7. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

1. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს იმ აბიტურიენტს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ან „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირი და რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი:
ა) ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი;
ბ) ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი;
გ) ოსური ენის ტესტი;
დ) აფხაზური ენის ტესტი.
2. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა.
3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების შესაბამისად დასაშვებია იმავე წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ ამავე უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით.

8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანების შესაბამისად.
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია:
ა) საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
ბ) სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.
საგნის გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების გარეშე, სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და მას დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს აპლიკანტთა მიღებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) მიერ დადგენილი ელექტრონული ფორმით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ აპლიკანტი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით გადის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე. გამოცდის შინაარსს, ჩატარების ფორმასა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობის შემდეგ (შედეგები

პერსონალური მონაცემების დაცვით ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე), ქმნის რანჟირების დოკუმენტს. რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის პირი, რომელმაც სასერთიფიკაციო საგნის და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამისi მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

თუ რანჟირების დოკუმენტის შექმნის პროცესში აღმოჩნდება, რომ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ აპლიკანტს, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, მისთვის გამოყოფილი მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების დამატების თაობაზე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აპლიკანტთა ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აპლიკანტის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საგნის გამოცდისა და უნივერსიტეტის გამოცდის ჩაბარების გარეშე საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის (საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრულ სემესტრში რეგისტრირდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე და აგრძელებს სწავლას, თუ მას გავლილი აქვს ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.

3.2 სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

1. მაგისტრატურაში მიღების პირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, მიღების ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ.

2. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩააბარა ტესტი, გადალახა ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სპეციალობის გამოცდა უნივერსიტეტის შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. იმ სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც მოითხოვება უცხო ენის B2 ცოდნის დონე, კონკურსანტი წარმოადგნს უცხო ენის B2 ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს უცხოენოვანი პროგრამა (ბაკალვრიატი/მაგისტრატურა) გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება) ან აბარებს გამოცდას უცხო ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს მაგისტრანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

2[1] ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების შესაბამისად.

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის/მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეებისათვის უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა მათ მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობის დასადასტურებლად უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი/განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქე წარმოადგენს სერტიფიკატს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ ან აბარებს გამოცდას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაში (გამოცდა ჩატარდება „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს მაგისტრანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად. ინფორმაცია გამოცდის დროისა და ადგილის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გამოცდების ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებს სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება.

4. კონკურსანტი საკონკურსო გამოცდას სპეციალობაში აბარებს დარგობრივ კომისიას. სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა წესებით განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება შეფასების მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

5. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე. კონკურსანტების მიერ თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობების (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ან/და საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების შესაბამისად.

6. მაგისტრანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი უცხოური/ქართული ენის, სპეციალობის გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა წარმოადგინოს შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში უნივერსიტეტის კანცელარიაში. აპელაციის შედეგები ეცნობება ელ. ფოსტის, ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად.

7. უნივერსიტეტში სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა კონკურსანტმა სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. ადმინისტრაციული რეგისტრაცია მოიცავს მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ შემდეგი აუცილებელი დოკუმენტების წამოდგენას:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უმაღლესი განათლების (ბაკალვრის ან მასთან გათანაბრებული) დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი.

დ) 2 ფოტოსურათი 3X4, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირთათვის).

ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ გამოიცემა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

8.პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ გააგრძელონ, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებმა მობილობის წესით (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით).

9. მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლება აქვს, აგრეთვე, პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეული მიმართულებისგან განსხვავებულ სპეციალობაში.

10. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

11. ინტეგრირებულ პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამები).

12. ქართული ენის, უცხოური ენისა და სპეციალობის/სპეციალობების საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან არანაკლებ დოქტორის ან/და მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამის სამეცნიერო სფეროში გამოცდილება (დასტურდება პირადი საქმე/CV), ხასიათდება ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

3. 3. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობისაგან განსხვავებულ სპეციალობაში (გასათვალისწინებელია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა).

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა. მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტებისა და სხვა ასპექტების შესახებ.

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე;

- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კანდიდატს რომელსაც გავლილი აქვს ინგლისური ან დასავლეთ ევროპულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა, გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება). გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე.
- დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც სურს უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოეთხოვება ქართული (გარდა ინგლისურენოვანი პროგრამისა) ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია, წარმოადგინოს ქართული ენის B2 და ინგლისური ენის B1 (თუ ადასტურებს ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე) ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEIC, TOEFL ITP, TOEFL IBT, IELTS, Cambridge Exam, IELTS Academic, EnglishScore, Versant English Placement Test), ან ქართული/ინგლისური/დასავლეთ ევროპული საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ/ინგლისურ/დასავლეთ ევროპულ ენაში (გამოცდა ჩატარდება „ქართულის/ინგლისურის/დასავლეთ ევროპულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.
- საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში (ტადება ზეპირი ფორმით, დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა) (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- დოქტორანტობის კანდიდატს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შედეგების შეფასებები.
- საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისია, განიხილავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობისთვის.

მუხლი 4. სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტი ყოველ სემესტრში ვალდებულია, გაიაროს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში;
2. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში.
3. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ხელშეკრულებით განისაზღვრება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი პროგრამით სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება. დაუშვებელია უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით. ხელშეკრულების პირობები სწავლის საფასურთან დაკავშირებით ცნობილი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე. აღნიშნული პირობები უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი. სტუდენტისთვის უნივერსიტეტში ჩარიცხვის წელს დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
4. სტუდენტი უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში იხდის სწავლის საფასურს. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტატუსი.
5. სტუდენტის მიერ დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას, მოითხოვოს მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება.
6. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე სტუდენტი ვალდებულია, სემესტრის (სემესტრების) სწავლის საფასური გადაიხადოს სრულად, უცხო ქვეყანაში სწავლების პერიოდის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისთანავე (არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა).
7. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლებლად დაბრუნების შემდეგ შედგენილი ,,პროგრამების თავსებადობის დასკვნის“ მიხედვით განსხვავებული საგნების (კრედიტების) ათვისების საჭიროებისას, სტუდენტი, რომელსაც გადახდილი აქვს უცხოეთში სწავლის პერიოდის სწავლის საფასური სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დამატებით არ იხდის ამ კრედიტების საფასურს.
8. აკადემიური რეგისტრაციის დროს არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა.

შენიშვნა:
1. სავალდებულოა (პროგრამის შინაარსის შესაბამისად) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან პროგრამის ფარგლებში მიღწევა. სტუდენტი ინგლისური ენის ცოდნის დონეს ადასტურებს „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კმპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.
2. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ადასტურებს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობას, აღნიშნული წესის შესაბამისად, იგი უცხო ენისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობას ითვისებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით ან თავისუფალი კრედიტებით. თუ სტუდენტის მიერ დადასტურებული დონე უფრო მაღალია (მაგრამ, არა B2), ვიდრე პროგრამით განსაზღვრული საწყისი დონე, დარჩენილი კრედიტების მოცულობას სტუდენტი ივსებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით ან თავისუფალი კრედიტებით;

3. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა თავისუფალი კომპონენტის კრედიტები აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, ან იმავე პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან.

მუხლი 5. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასვლის წესით ჩარიცხვა

1.უნივერსიტეტში გადასვლის წესით (შემდგომში მობილობით) ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.
2. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
2[1]. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, დაწესებულებას შეეზღუდა სტუდენტთა მიღების უფლება ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
2[2]. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, მხოლოდ აკრედიტაციის საფუძველზე განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების, ასევე, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების/საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ან ავტორიზაცია/აკრედიტაციის ვადის გასვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ან ავტორიზაციის/აკრედიტაციის ვადის გასვლიდან 5 წლის განმავლობაში.
3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3[1]. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:
ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში–დებულება) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნუ ლი გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;
ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
3[2]. თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:
ა) იმ საგნისგან განსხვავებული საგანი, რომელიც ჩაბარებული აქვს მობილობის მსურველს, იგი მობილობის განხორციელებამდე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნული გამოცდებში და ჩააბაროს შესაბამისი საგანი/საგნები;

ბ)ერთზე მეტი საგანი, რომელიც შეესაბამება, დებულების დანართი №3ით გათვალისწინებული სწავლის სფეროების მიხედვით განსაზღვრულ საგნების ჩამონათვალს, მობილობის მსურველს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, ამ წესის მე-5 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა ჩაეთვლება დაკმაყოფილებულად ერთ-ერთი მათგანის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაშიც.

4. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მობილობის მსურველი პირი, ცენტრის მიერ მობილობის უფლების მინიჭების შემთხვევაში, ვალდებულია ცენტრისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს, თან წარადგინოს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. მობილობის მსურველი პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს უნივერსიტეტს, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ან პროგრამაზე კონკურსის არსებობის შემთხვევაში, მობილობის წინაპირობას განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტი, წინაპირობა ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6[1]. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა თუ მეტია რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე, დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.

6[2]. ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ბოლო საკონკურსო ადგილზე თუ გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, დაწესებულება ჩარიცხავს მათ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება დაწესებულებისთვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

6[3]. მობილობის მსურველი მოიპოვებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით.

6[4]. პირი, რომელმაც გამოთქვა სურვილი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის თაობაზე, ვალდებულია შეამოწმოს ელექტრონულ პორტალზე მობილობის შედეგი და დადებითი პასუხის შემთხვევაში, განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან ერთვის სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა, საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტების ასლები. უნივერსიტეტის მხრიდან დაუშვებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული ასლების მიღებაში ხელის შეშლა.

7. გადასვლის წესით კონკურსანტის ჩარიცხვის შემთხვევაში მიმღებ ფაკულტეტზე შექმნილი მობილობის კომისიის მიერ დგინდება სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის თავსებადობა ამ წესის მუხლი 10-ის (კრედიტების აღიარების წესი) შესაბამისად. მობილობის მსურველი პირი თუ ეთანხმება აღიარებულ კრედიტებს, ხელმოწერით ადასტურებს ე.წ. „თანხმობის წერილს“. უნივერსიტეტი აღიარებულ კრედიტებს და მობილობის მსურველი პირის „თანხმობის წერილს“ ასახავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე. ცენტრიდან თანხმობის

მიღების შემდეგ სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებით გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტი.
8. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით მიმღებ უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 6. უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შემდგომში შიდა მობილობა) პროცედურა

1. უნივერსიტეტში შიდა მობილობა სწავლების სამივე საფეხურზე ხორციელდება სწავლების მეორე სემესტრიდან როგორც ფაკულტეტის ფარგლებში, ისე ფაკულტეტებს შორის წელიწადში ორჯერ შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებამდე აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. შიდა მობილობა შესაძლებელია, განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
2. შიდა მობილობა ხორციელდება უნივერსიტეტის ფაკულტეტების სპეციალობებზე ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
2^1. სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს შიდა მობილობის პროცესში და ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მე-5 მუხლის მე-3^1 პუნქტის „ა ქვეპუნქტის პირობებს. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სსიპ–შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და მასთან შეთანხმებული ფორმით, გამოითხოვოს ინფორმაცია შიდა
მობილობის უფლების მქონე პირთა მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური
კომპეტენციის ზღვარის გადალახვის თაობაზე დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით
ან/და მე-8 პუნქტით დადგენილ საგანში/საგნებში, შესაბამისი ქულის მითითებით.
3. შიდა მობილობის განსახორციელებლად იქმნება მობილობის საფაკულტეტო კომისია. კომისია ადგენს შიდა მობილობის მსურველად დარეგისტრირებული სტუდენტების მიერ გავლილი პროგრამის და მიმღები ფაკულტეტის სასწავლო პროგრამის თავსებადობას, საჭიროების შემთხვევაში (მიმღებ ფაკულტეტზე კონკურსის არსებობის ან იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ გამოცდებზე განსხვავებული საგნებია ჩაბარებული და ა.შ.) ნიშნავს წერილობით გამოცდას და/ან გასაუბრებას, აკეთებს შესაბამის დასკვნას.
4. მობილობის საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებით. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები/ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, შიდა მობილობით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების რაოდენობის გადაჭარბებით.
5. უმაღლეს სასწავლებელში შიდა მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი სწავლის გადასახადი განისაზღვრება იმ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურით, რომელზეც იგი გააგრძელებს სწავლას.

მუხლი 7. უნივერსიტეტიდან გარიცხული\ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტიდან (აგრეთვე იმ უსდ-დან, რომლის უფლებამონაცვლეც არის უნივერსიტეტი) გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანება №10/ნ, 2010 წლის 4 თებერვალი - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.
2. ამოღებულია.
3. უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე, ან სემესტრის დაწყებიდან 1 ნოემბრამდე (შემოდგომის სემესტრში) და 1 აპრილამდე (გაზაფხულის სემესტრში).
4. სემესტრის დასრულების შემდეგ ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ექვემდებარება მომდევნო სემესტრში გადაყვანას (გარდა დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა).

მუხლი 8. უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება საერთაშორისო მობილობის ფარგლებში
1. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით. ამ პირების ჩარიცხვა დასაშვებია მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 9. უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვების წესი
1. აკადემიური უმაღლესი განათლების ფარგლებში - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 1 სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.
ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ **180**-240 კრედიტს (უნდა შესრულდეს **3**-4 წლის განმავლობაში);
ბ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს (უნდა შესრულდეს 2 წლის განმავლობაში);
გ) ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ - 300 კრედიტს (უნდა შესრულდეს 5 წლის განმავლობაში);
დ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
2. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

მუხლი 10. უნივერსიტეტის კრედიტების აღიარების წესი
1. უნივერსიტეტში სტუდენტის უფლებებში აღსადგენი პირის ან საქართველოს სხვა უსდ-დან გადმომსვლელი სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარება/ცნობა ხორციელდება 1997 წლის ლისაბონის „ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის“ დებულებების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის #10/ნ ბრძანების შესაბამისად. მას შემდეგ, რაც (როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმები დაეფუძნა სწავლის შედეგებსა და შესაბამის კომპეტენციებს, სასწავლო კურსების აღიარება ხდება სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისი სილაბუსების ანალიზის შედეგად.

2. უნივერსიტეტიდან ან საქართველოს სხვა უსდ-დან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში იმის განსასაზღვრად, თუ რა ეტაპიდან განაგრძობს სწავლას სტუდენტი, უნივერსიტეტი გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის თაობაზე წერილობითი მოტივირებული დასკვნის შესაბამისად, რომელშიც მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები უნივერსიტეტის იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება.
3. ამოღებულია.
4. ამოღებულია.
5. ამოღებულია.
6. თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ქულიან შეფასების სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით: შეფასება 5 – A - 95 ქულა; შეფასება 4,5 - B – 85 ქულა; შეფასება 4 – C - 75 ქულა; შეფასება 3,5 – D – 65 ქულა; შეფასება 3 – E – 55 ქულა.
არადიფერენცირებულ „ჩათვლას“ ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული).
7. **კრედიტების აღიარების წესი**
7.1 უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა თუ ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის საგნის დასახელებასა და კრედიტებს, მაშინ მისი აღიარება ხდება.
7.2 სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება თუ არ ემთხვევა უნივერსიტეტის საგნების დასახელებას, კომისიამ შესაძლებელია ზოგადი ხასიათის საგანი სტუდენტს უღიაროს როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში (მაგ.“ფილოსოფია” როგორც შესავალი ფილოსოფიაში”), ხოლო თუ სპეციფიკური საგნებია, აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურიკულუმის საგნებთან თემატური შეთავსების საფუძველზე (მაგ. “პოლიტიკური პარტიების ისტორია” შეიძლება აღიარებულ იქნას როგორც “პოლიტოლოგია”).
7.2.[1] არჩევითი თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში (საგანმანათლებლო პროგრამაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. არჩევითი თავისუფალი კომპონენტის სრულად ათვისების შემდეგ აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები აისახება დიპლომის დანართში.
7.3 უნივერსიტეტში გადმომსვლელი სტუდენტის უსდ-ში თუ იყენებდნენ არა ECTS კრედიტებს, არამედ განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, უნდა დადგინდეს ამ სისტემის შესაბამისობა საერთო ევროპულ ECTS კრედიტების სისტემასთან. თუ სტუდენტის უსდ-ს არ გააჩნია საკრედიტო სისტემა, მაშინ სტუდენტის სასწავლო ბარათში მითითებული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირა ისწავლა სტუდენტმა ეს სასწავლო კურსი და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას). აღნიშნულ საგანს უნდა მიენიჭოს კრედიტების ის რაოდენობა, რაც უნივერსიტეტში ანალოგიური მოცულობის სხვა სასწავლო კურსებს აქვთ (კრედიტების მინიჭების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები).
7.4 საგნებში, რომელიც სტუდენტს ეკითხებოდა ECTS -ის შემოღებამდე, კრედიტების აღიარება ხორციელდება საკონტაქტო საათების მიხედვით შემდეგი წესით:
30 - 60 სთ. - 5 კრედიტი
61 - 120 სთ. - 10 კრედიტი

121 - 180 სთ. - 15 კრედიტი
181 - 240 სთ. - 20 კრედიტი
7.5 უნივერსიტეტში სტუდენტის საქართველოს სხვა უსდ-დან გადმოყვანა ხორციელდება III სემესტრიდან (სწავლების მეორე წლიდან) X სემესტრის ჩათვლით. თუ რა ეტაპიდან განაგრძობს სტუდენტი სწავლას განისაზღვრება აღიარებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირად:
ა) 0 -15 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს I სემესტრიდან.
ბ) 16 - 30 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს II სემესტრიდან
გ) 31 - 60 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს III სემესტრიდან.
დ) 61 - 90 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს IV სემესტრიდან.
ე) 91 - 120 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს V სემესტრიდან.
ვ) 121 - 155 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს VI სემესტრიდან.
ზ) 156 -195 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს VII სემესტრიდან.
თ)196-210 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს VIII სემესტრიდან.
ი) 211 – 240 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს IX სემესტრიდან.
კ) 241 – 270 კრედიტის აღიარების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს X სემესტრიდან.
ლ) ზემოხსენებულ ქვეპუნქტებში („ა", „ბ", „გ", „დ", „ე", „ვ", „ზ", „თ", „ი", „კ") მითითებული აღიარებული კრედიტების რაოდენობით შესაძლებელია აღდგენის/მობილობის/შიდა მობილობის მსურველ სტუდენტს სასწავლო პროცესში ჩართვისათვის სემესტრი განესაზღვროს ერთი სემესტრით წინ აღნიშნულ ქვეპუნქტებში განსაზღვრული სემესტრისაგან განსხვავებით, სასწავლო პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულების მიზნით.
7.6 უნივერსიტეტში საქართველოს სხვა უსდ-დან გადმოყვანის (უნივერსიტეტის შიგნით სპეციალობის შეცვლის), სტუდენტის უფლებებში აღდგენის და საქართველოს სხვა უსდ-დან ამორიცხული სტუდენტის ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების საფუძველია უნივერსიტეტის რექტორის სახელზე დაწერილი დაინტერესებული პირის განცხადება.
8. აღიარება ფორმდება მიმღები დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობის, სტუდენტის უფლებებში აღდგენის, სტუდენტის მიერ გარიცხვამდე ან სხვა უსდ-ში მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების აღიარების და სხვა საკითხების კოორდინაციისა და ღონისძიებების გატარების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიები. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში შედიან:
ა) შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);
ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
გ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები.
9. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიას ევალება:
ა) სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის შემუშავება;
ბ) სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამისა და უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენა.
გ) დასკვნის მომზადება, სადაც დეტალურად უნდა იქნას ასახული:
- რამდენი კრედიტი უღიარდება სტუდენტს;
- რომელი სემესტრიდან გააგრძელებს სტუდენტი სწავლას;
- რა საგნები უნდა გაიაროს სტუდენტმა თვითდაფინანსების გზით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10. დაწესებულება, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.
შიდა მობილობის შემთხვევაში კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიების დასკვნების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება.
მობილობის შემთხვევაში უნივერსიტეტის სასწავლო განყოფილებაში მზადდება ბრძანების პროექტი, რომელიც შესათანხმებლად წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ცენტრიდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში გამოიცემა რექტორის ბრძანება.
10[1]. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.
10[2]. უნივერსიტეტის მიერ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის განსაზღვრულ წინაპირობებთან თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.
11. **გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება ხდება შემდეგი წესით:**
11. 1 უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების მონაწილე, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მყოფი უნივერსიტეტის სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და უცხოეთის უსდ-ში დაგროვილი კრედიტების აღიარების მოთხოვნით.
11.2. სტუდენტის განცხადებაში უნდა მიეთითოს: უცხოური უსდ-ს დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამა), სწავლის პერიოდი, გავლილი სასწავლო კურსები (მოდულები), მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები (მათი არსებობის შემთხვევაში), ან სასწავლო კურსების მოცულობა (საკონტაქტო საათების რაოდენობა).
11.3. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.
11.4. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის თაობაზე უნივერსიტეტი აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. პარალელურად სტუდენტმა უნდა მიმართოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების მოთხოვნით.
11.5. საზღვარგარეთ სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარება შესაძლებელია მოხდეს უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების თაობაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნის საფუძველზე.
11.6. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა არ აღიარა უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტები, სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლას გააგრძელებს გაცვლით პროგრამამდე სწავლის საფეხურიდან.
11.7. ბოლონიის პროცესის წევრი უცხოური უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთან ე.წ. სასწავლო ხელშეკრულების (learning agreement) გაფორმებას და სწავლის დასრულების შემდეგ მისთვის ე.წ. ნიშნების ფურცლის (Transcript of records) გაცემას ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული სპეციალური ფორმების შესაბამისად. ამ შემთხვევაში სტუდენტი წარმოადგენს სასწავლო ხელშეკრულებას და ნიშნების ფურცელს, რომელშიც მითითებული იქნება მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების სახელწოდება, კრედიტების რაოდენობა და მიღებული შეფასება.
11.8. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებითა და ნიშნების ფურცლით, მაშინ სტუდენტს უნდა მიეცეს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურის და პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმებული ოფიციალური

დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება: მის მიერ გავლილი სასწავლო კურსები/მოდულების სახელწოდება, ECTS კრედიტები და მიღებული შეფასება.
11.9. თუ უცხოური უსდ იყენებს არა ECTS კრედიტებს, არამედ სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური უსდ-ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება ამ სისტემის შესაბამისობა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS).
11.10. თუ უცხოური უსდ-ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ სტუდენტის ნიშნების ფურცელში (სასწავლო ბარათში, ან სწავლის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში) მითითებული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის მოცულობა (სემესტრული საკონტაქტო საათები). აღნიშნულ კურსებს ენიჭება პირობითი კრედიტები.
11.11. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ იყენებს შეფასების არა 100-ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური უსდ-ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება შეფასების ეს სისტემა და მისი შესაბამისობა შეფასების 100 ქულიან სისტემასთან.
11.12. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ-ში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვა.) ან სიტყვიერ განსაზღვრებას (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

A+	ფრიადი	100
A	ფრიადი	95
A-	ფრიადი	91
B+	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	85
B-	ძალიან კარგი	81
C+	კარგი	80
C	კარგი	75
C-	კარგი	71
D+	დამაკმაყოფილებელი	70
D	დამაკმაყოფილებელი	65
D-	დამაკმაყოფილებელი	61
E+	საკმარისი	60
E	საკმარისი	55
E-	საკმარისი	51

11.13. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უსდ იყენებს აღნიშნული დადგენილების მე-12 პუნქტში მითითებული შეფასების სისტემისაგან განსხვავებულ სისტემას, კომისია უფლებამოსილია, დაადგინოს მისი შესაბამისობა უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან.
11.14. უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მონაწილე და/ან უცხოურ უსდ-ში დროებით სასწავლებლად წასული სტუდენტის მიერ უცხოურ უსდ-ში გასავლელი სასწავლო კურსები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) და ან/კომისიასთან.
11.15. სტუდენტს წერილობით ეცოდინება, რომ უცხოურ უსდ-ში გავლილი კურსების თავსებადობას უნივერსიტეტის კურიკულუმთან და სტუდენტის მიერ არჩეულ ძირითად და დამატებით პროგრამებთან დაადგენს კომისია და ათანხმებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

11.16. უცხოურ უსდ-ში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარება ხდება კრედიტების აღიარების რეგულაციის შესაბამისად.
11.17. გამონაკლისის სახით, სტუდენტის მიერ უცხოურ უსდ-ში მიღებული ე.წ. „არადიფერენცირებული ,,ჩათვლა" შეიძლება აღიარებული იქნას კომისიის მიერ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ უცხოურ უსდ-ს აღნიშნულ სასწავლო კურსში დიფერენცირებული (ქულობრივი) შეფასება არ გააჩნია. ამ შემთხვევაში ე.წ. „არადიფერენცირებული ჩათვლას" ენიჭება პირობითი ქულა.
11.18. გამონაკლისის სახით, კომისიამ შეიძლება აღიაროს სტუდენტის მიერ უცხოურ უსდ-ში გავლილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელსაც არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის კურიკულუმი, მაგრამ რომელიც მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტუდენტის სამომავლო კვალიფიკაციისა და პროფესიული განვითარებისათვის.

მუხლი 11. უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდეგი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ასეთი პროგრამის სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აღნიშნულ პროგრამასთან თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე მათი გადაყვანის გზით მანამდე მოპოვებული კრედიტების აღიარებით;
2. ამოღებულია.
3. ამოღებულია.
4. ამოღებულია.
5. ამოღებულია.
6. ამოღებულია.
7. ამოღებულია.
8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოდიფიცირებულ და თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.
9. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარებას ახდენს კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია (შემდგომში: კომისია), რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
ა) შეცვლილი/გაუქმებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ კოორდინატორი და/ან მათ მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);
ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები;
გ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.
10. სტუდენტს ავტომატურად უღიარდება შეცვლილი/გაუქმებული პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას, სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას.
11. თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას, ხოლო კრედიტების რაოდენობა იგივეა, კომისიას შეუძლია, ზოგადი ხასიათის საგანი სტუდენტს უღიაროს, როგორც შესაბამისი დარგის, სპეციალობის შესავალი, ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურიკულუმის საგნებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.

12. შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსი, რომლის დასახელება, შინაარსი და სწავლის შედეგები არ ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს, სტუდენტს უღიარდება, როგორც თავისუფალი კრედიტი (თავისუფალი კრედიტებისთვის დადგენილი ზღვრული ნორმის ფარგლებში).
13. თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და/ან სწავლის შედეგები ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის დასახელებას და/ან სწავლის შედეგებს, ხოლო კრედიტების რაოდენობა ახალი პროგრამით გათვალისწინებული (თავსებადი) სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას არ ემთხვევა (მეტია ან ნაკლებია), აღნიშნული სასწავლო კურსის კრედიტები სტუდენტს უღიარდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც გათვალისწინებულია ახალი პროგრამით. ასეთ შემთხვევაში, თუ სტუდენტს დააკლდება კრედიტები, დამატებით კრედიტებს სტუდენტი მოიპოვებს უფასოდ.
14. შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული თავისუფალი კრედიტები სტუდენტს ავტომატურად უღიარდება იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის მოქმედი კურიკულუმით გათვალისწინებულია იმავე დასახელების, მოცულობის და სწავლის შედეგების მქონე სასწავლო კურსი.
15. თუ ამ წესით აღიარებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა გადააჭარბებს ახალი პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობას, სტუდენტს თავისუფალ კრედიტებად უღიარდება ის სასწავლო კურსები, რომლებშიც მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება ან კრედიტების აღიარება მოხდება სტუდენტის სურვილის გათვალისწინებით.
16. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტების აღიარების დადგენილი წესით სტუდენტს დააკლდება აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მას ეძლევა უფლება, აინაზღაუროს დანაკლისი წელიწადში 75 კრედიტის ფარგლებში (სემესტრში 35-40 კრედიტი).
17. ამოღებულია.

მუხლი 12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა

1. ეს მუხლი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის და ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირებასა ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის და საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტი (შემდგომში - შშმპ) არის სტუდენტი, მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში და რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.
3. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი არის პირი, რომელსაც აქვს სწავლაში ჩამორჩენა ან/და გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, და რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებზე, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე

მორგებულ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს;
6. შშმ პირებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა;
7. შშმპ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტს. შშმპ-ის/მისი კანონიერი წარმომადგენელის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საჭიროების მქონე გარემოებების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაცია.
8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამ წესის მუხლი 5-ის, მუხლი 6-ის და მუხლი 10-ის განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები;
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას უნივერსიტეტი ახორციელებს შესაბამისი საჭიროებების მქონე სტუდენტების ჩართულობით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან/ასოციაციებთან (მათ შორის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირები, შშმპ ასოციაციები და სხვა), რომლის ფარგლებშიც აღნიშნულ ორგანიზაციებთან ახორციელებს კონსულტაციებს შესაბამისი სტუდენტების სასწავლო კურსისა და სწავლების მეთოდების მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან მისადაგების შესახებ და იღებს კონკრეტულ რეკომენდაციებს.
10. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
ე) ფინანსური დავალიანება;
ვ) აკადემიური შვებულება;
ზ) აკადემიური (პროგრამის და საგნების არ არჩევა) რეგისტრაციის გაუვლელობა.
1[1]. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.
3. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
4. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება სტუდენტს არ ათავისუფლებს სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.
6. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან,

რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. უნივერსიტეტში სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენა ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე ან სემესტრის დაწყებიდან 1 ნოემბრამდე (შემოდგომის სემესტრში) და 1 აპრილამდე (გაზაფხულის სემესტრში). თუ სტატუსის შეჩერებამდე სტუდენტს ჩაბარებული აქვს შუალედური შეფასების კომპონენტები (შუალედური გამოცდები, პრეზენტაცია და სხვ.), მისი აღდგენა შესაძლებელია დასკვნით გამოცდამდე, სემესტრის განმავლობაში ნებისმიერ დროს (თუ სტუდენტი მიღებული შუალედური შეფასებების გაუმჯობესების მიზნით არ განაცხადებს წერილობით მოთხოვნას). ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენა ხორციელდება დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში.

7. თუ ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტი ვერ ფარავს დავალიანებას სრულად, დავალიანების 1/4 -ის დაფარვის შემთხვევაში, დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით მას აღუდგება სტუდენტის სტატუსი და განესაზღვრება დავალიანების დაფარვის ინდივიდუალური გრაფიკი.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, მათ შორის ამ მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად შეჩერების შემთხვევაში, ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში ინფორმაცია წერილობით მიაწოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

მუხლი 14. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) სტუდენტის პირადი განცხადება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

ე) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული, სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

ე) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

ზ) გარდაცვალება;

თ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევა.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 (თორმეტი) თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს დეკანის წარდგინებით გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი.

5. პირს, რომელმაც ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა და შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ეძლევა სათანადო მოწმობა.

მუხლი 15. დამატებით სემესტრში დარეგისტრირება და დამატებითი საფასურის დამტკიცება

1. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების (სემესტრული გადასახადის) ფარგლებში განმეორებით გაიაროს ცალკეული სასწავლო კურსი სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით.
2. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო არაუმეტეს ოთხი სემესტრის განმავლობაში.
3. დამატებითი სემესტრის სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება კრედიტების მოცულობის მიხედვით სემესტრული გადასახადის შესაბამისად. ცალკეული სასწავლო კურსის ასათვისებლად სწავლის საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის მოცულობის მიხედვით და ერთი კრედიტის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად: სემესტრული გადასახადი შეფარდებული 30 – თან.
4. ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე დამატებით სემესტრებში სტუდენტს უფლება ეძლევა 240 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები 30-45 კრედიტის ფარგლებში ისე, რომ ერთი სასწავლო წლის კრედიტების საერთო რაოდენობამ არ გადააჭარბოს 75-ს.
5. მაგისტრატურის დამატებით სემესტრებში სტუდენტს უფლება ეძლევა 120 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები 30-45 კრედიტის ფარგლებში ისე, რომ ერთი სასწავლო წლის კრედიტების საერთო რაოდენობამ არ გადააჭარბოს 75-ს.
6. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება აკადემიური ცნობით.
7. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოდიფიცირებულ ან მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, სტუდენტი არ იხდის განსხვავებული საგნების ათვისებისათვის საჭირო კრედიტების საფასურს.

მუხლი 16. სტუდენტის შეფასების წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
2. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
2^1. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

4. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

7. ამოღებულია

8. ამოღებულია

9. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები.

10. ამოღებულია.

11. ამოღებულია.

12. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

13. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით. სემინარის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

14. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა შეფასდეს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.

15. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის) შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ამ მუხლის ”ა”-”ე” პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

16. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, დაადგინოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების ვადები. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

17. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 17. გამოცდების ჩატარების ერთიანი წესი

1. წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში გამოცდების დანიშვნის, ჩატარების, გადავადების, საგამოცდო შედეგების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის სპეციალურ წესებს.

2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

2.1 ამ წესით გათვალისწინებული გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო განყოფილება.

2.2. უნივერსიტეტის სასწავლო განყოფილების შემადგენლობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის საშტატო განრიგის საფუძველზე. საგამოცდო პროცესს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება და რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

2.3. საგნის პედაგოგი ვალდებულია, დადგენილ ვადებში, სასწავლო განყოფილებას წარუდგინოს თითოეული საგნის პროგრამის შესაბამისად შედგენილი საგამოცდო საკითხები/ტესტები.

2.4 საგამოცდო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით საგამოცდო სესიის პერიოდში უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალიდან ინიშნება დამკვირვებლები.

3. გამოცდის თარიღის დადგენა და შედეგების ელექტრონული რეგისტრაცია.

3.1 უნივერსიტეტის სასწავლო განყოფილება ყოველი სემესტრის დასაწყისში, ფაკულტეტიდან დაგენილ ვადაში მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, აქვეყნებს სემესტრული შუალედური და დასკვნითი გამოცდების (წერილობითი/ელექტონული გამოცდების) ჩატარების ვადებს.

3.2 ფაკულტეტი უზრუნველყოფს შესაბამის ფაკულტეტზე სასემინარო შეფასებების, ჩატარებული სემესტრული – შუალედური და დასკვნითი გამოცდების, საბაკალავრო/ სამაგისტრო/სადოქტორო ნამუშევართა შეფასებების ელექტრონულ აღრიცხვას.

4. გამოცდის მსვლელობაზე ზედამხედველობა

4.1 წერითი გამოცდის მსვლელობას ზედამხედველობას უწევს დამკვირვებელთა ჯგუფი. თითოეულ აუდიტორიაში იმყოფება სულ მცირე ორი დამკვირვებელი.
4.2. დამკვირვებლი სტუდენტებს/კონკურსანტებს გააცნობს ,,ქცევის წესებს". დამკვირვებელი დაფაზე აფიქსირებს გამოცდის დაწყების და დამთავრების დროს.
4.3 სტუდენტს/კონკურსანტს ეკრძალება გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა სასმელი წყლისა (პლასტმასის ბოთლით) და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. გამოცდაზე წიგნების, კალკულატორის და სხვ. გამოყენების საკითხს, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე წყვეტს საგამოცდო კომისია.
4.4 დამკვირვებელი მკაცრად აკონტროლებს სტუდენტთა/კონკურსანტთა მოვალეობების დაცვას. ,,შპარგალკის" (წიგნის, კონსპექტის) გამოყენების შემთხვევაში სტუდენტი/კონკურსანტი მოიხსნება გამოცდიდან. მას ჩამოერთმევა „შპარგალკა", საგამოცდო ტესტი და სარეგისტრაციო უწყისში გაუფორმდება შესაბამისი ჩანაწერი, რასაც ხელს აწერენ დამკვირვებლები. ტესტს დაეწერება ,,მოიხსნა გამოცდიდან" (აღნიშნული ნაშრომი არ ექვემდებარება გასწორებას).
4.5. თუ დამკვირვებელი სტუდენტს/კონკურსანტს შენიშნავს გადალაპარაკებაში, მაშინ იგი ჯერ აფრთხილებს მას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში – მოხსნის გამოცდიდან და შესაბამისად სარეგისტრაციო უწყისში კეთდება ჩანაწერი.
4.6 საგამოცდო დროის ამოწურვამდე 10 წუთით ადრე დამკვირვებელი სტუდენტებს/ კონკურსანტებს აფრთხილებს გამოცდის დამთავრების მოახლოების შესახებ.
4.7 საგამოცდო დროის დამთავრების შემდეგ სტუდენტები/კონკურსანტები საგამოცდო ნაშრომებს აბარებენ დამკვირვებელს (წერითი გამოცდის შემთხვევაში) და სარეგისტრაციო უწყისში აწერენ ხელს.

5. სტუდენტის ვალდებულებები

5.1 სტუდენტი ყოველი სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის დადგენილი წესით გადის აკადემიურ რეგისტრაციას და ირჩევს შესაბამის საგნებს, რაც ამავდროულად ნიშნავს მის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.
5.2 სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.

6. გამოცდაზე არ გამოცხადება, საგამოცდო განაწესის დარღვევა

6.1 სტუდენტი ჩაჭრილად ჩაითვლება, თუ იგი
ა. არ გამოცხადდა დანიშნულ გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით ან გამოცხადდა და გამოცდის მსვლელობისას დატოვებს აუდიტორიას, ან მოიხსნა გამოცდიდინ.
ბ. დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს წერით ნამუშევარს – რეფერატს, საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომს და ა.შ.
გ. გამომცდელზე მუქარის, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცყოფის, ფსიქიკური ზემოქმედების, მოტყუების, თაღლითობის და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით შეეცდება მიიღოს შეფასება,
დ. გამოცდის ჩაშლის მცდელობას, ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამო მოიხსნება გამოცდიდან.
6.2 საგამოცდო ნაშრომის უარყოფითი შეფასება ფორმდება წერილობით.

7. გამოცდის გადავადება

7.1 საპატიო მიზეზით გამოცდის გადავადების მოთხოვნა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელშიც უნდა მიეთითოს გადავადების საპატიო საფუძველი.
7.2 მშობიარობამდე ექვსი კვირით ადრე ან მშობიარობის შემდგომ რვა კვირის განმავლობაში მათი წერილობითი განცხადების საფუძველზე ეძლევათ გამოცდის გადავადების შესაძლებლობა.
7.3 განცხადება უნდა გაკეთდეს გამოცდის თარიღამდე ერთი დღით ადრე მაინც.

8. გამოცდის განმეორებითი ჩაბარება

8.1 გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის გამოცდის გამეორების უფლების მინიჭების შესახებ იღებს ფაკულტეტი დადგენილი წესის შესაბამისად.

9. გამოცდების შედეგების შეფასების ვადები

9.1 შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს სტუდენტს გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

10. ამოღებულია.

11. ამოღებულია

12. გამოცდების შედეგების გასაჩივრება

12.1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, თემატური სემინარი, დისერტაციის, სამაგისტრო/საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/ შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

12.2. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი კომისია. დასკვნის საფუძველზე დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველყოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას.

12.3. დეკანის/ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

ა) მოთხოვნილი შეფასების დადასტურება;

ბ განმეორებითი შეფასება იგივე პირობებში;

გ) განმეორებითი შეფასება საკომისიო წესით;

დ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა "სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით" დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს.

12.5. თუ სტუდენტი მიმდინარე შეფასებაზე, შუასემესტრულ ან/და დასკვნით/დამატებით გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების/გამოცდის აღდგენის თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართოს რექტორს აღნიშნული მიზეზის აღმოსაფხვრელად არაუგვიანეს 15 დღისა.

12.6. სტუდენტი ვალდებულია შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ განცხადებას დაურთოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები. სტუდენტმა, აგრეთვე უნდა წარმოადგინოს თავისი ელექტრონული უწყისების ამონაკრები (ამობეჭდილი აკადემიური მოსწრების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის სტუდენტის გვერდიდან).

12.7. სემესტრის დაწყებიდან პირველი 6 კვირის განმავლობაში ჩატარებული მიმდინარე შეფასებების აღდგენა უნდა დასრულდეს შესაბამის სასწავლო კურსში შუასემესტრულ გამოცდამდე, შუასემესტრული გამოცდის აღდგენა უნდა დასრულდეს სესიების დაწყებამდე, მე-7 – მე-15 კვირების მიმდინარე შეფასებების აღდგენა – შესაბამის დასკვნით გამოცდებამდე, ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის აღდგენა – შემდეგი სემესტრის დაწყებამდე, დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.

12.8. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის. ამ მიზნით იგი განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის, საგამოცდო ცენტრისა და ფაკულტეტის ვებგვერდებზე.

13. ამოღებულია

მუხლი 18. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი

1. უმაღლესი განათლების ცალკეული საფეხურების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.
2. ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული-ფაკულტეტი. ასევე ფაკულტეტი ანიჭებს სერტიფიკატს ქართულ ენაში მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს.
3. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 19. სტუდენტის უფლება- მოვალეობები

1.უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
ბ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება.
ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში თვითდაფინანსების გზით განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;
თ) ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:
ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
ბ) დაიცვას და შეასრულოს სტუდენტური ხელშეკრულების პირობები;
გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;
დ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
ე) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

მუხლი 20. მსმენელის უფლება-მოვალეობები

1. მსმენელს უფლება აქვს:
ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

დ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო კურსის, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
ე) სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
ვ) ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.
2. მსმენელი ვალდებულია:
ა) დაიცვას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
ბ) დაიცვას და შეასრულოს მსმენელის ხელშეკრულების პირობები;
გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;
დ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
ე) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;
ვ) შეასრულოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.

მუხლი 21. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები

1. უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით მოქმედებს შემდეგი სახის შეღავათები:
ა) სწავლის საფასურის გადახდის იდივიდუალური გრაფიკი, რომელიც შეიძლება განესაზღვროს სტუდენტს ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
ბ) სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება ერთი სემესტრის განმავლობაში, რომელიც შეიძლება განესაზღვროს სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან სამს ერთად:
- არის ობოლი;
- მისი ოჯახი დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში;
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის პირთა შვილების/ოჯახის წევრების შემთხვევაში:
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების შემთხვევაში:
- სტუდენტი არის ავად და მკურნალობა დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ხარჯებთან;
- არის მრავალშვილიანი ოჯახიდან (ოჯახის მინიმუმ სამი წევრი არასრულწლოვანია);
- უნივერსიტეტის სახელით აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის გარეთ გამართულ ღონისძიებებში.

მუხლი 22. სტუდენტთა წახალისების მექანიზმები
1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ხელშეწყობის მიზნით სასწავლებელი ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას. ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, თუკი სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილი სწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს. ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს.

მუხლი 23. სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის წესი და კრიტერიუმები

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო და სხვა ინტეგრირებულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით არსებობს შემდეგი სახის სტიპენდიები:
ა) სახელმწიფო სტიპენდია;
ბ) საუნივერსიტეტო სტიპენდია;
გ) სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტიპენდია;
დ) სახელობითი სტიპენდია.
2. სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4% -ის სტიპენდიით უზრუნველსაყოფად.
3. სტიპენდიების დანიშვნა ხორციელდება საგამოცდო სესიის ძირითად ვადებში მიღებული შედეგების საფუძველზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითად ვადაში გამოცდის ჩაბარება შეუძლებელია ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, რაც დადასტურებული იქნება სათანადო დოკუმენტით) სემესტრულად შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
ა) სტიპენდია ენიშნება სტუდენტს, რომელსაც ყველა საგანში აქვს შემდეგი შეფასებები: ფრიადი (A) და ძალიან კარგი (B);
ბ) სტუდენტთა სტიპენდიებისათვის გამოყოფილი თანხა გადანაწილდება ფაკულტეტების სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად. სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში ფაკულტეტისათვის გამოყოფილ რაოდენობაში სტუდენტთა შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გათვალისწინებით, რეიტინგის მიხედვით;
გ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება რამდენიმე თანაბარქულიანი სტუდენტი, გათვალისწინებული იქნება ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: სამეცნიერო და საზოგადოებრივი აქტიურობა, გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ასევე შესაძლებელია დამატებით გათვალისწინებული იქნეს სტუდენტთა სოციალური მდგომარეობა;
4. 50 სტუდენტს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ ვერ მოხვდნენ სახელმწიფო სტიპენდიის პროგრამაში, დაენიშნებათ საუნივერსიტეტო სტიპენდია.
5. სხვა ორგანიზაციიდან სტიპენდიების დანიშვნის შემთხვევაში, სტიპენდიის დანიშვნის წესსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს თავად დონორი ორგანიზაცია.
6. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის წესსა და კრიტერიუმებს შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
7. სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის შესახებ სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში წარდგინებას აკეთებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.
8. სასწავლო განყოფილების წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ.

მუხლი 24. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ელექტრონულ ურთიერთკავშირს ადმინისტრაციას, პროფესორებსა და სტუდენტებს შორის. სერვისი მოიცავს: სტუდენტების რეესტრს, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ინფორმაციის შეტანა/დამუშავებას, სასწავლო კურსების რეესტრს (კრედიტი, წინაპირობა), საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, სილაბუსების ბაზას, სტუდენტის ინდივიდუალურ პანელს.

აღნიშნული ინფორმაციის შეტანის შედეგად სისტემა ამუშავებს მონაცემებს და იძლევა შემდეგ შედეგებს: სხვდასხვა საბეჭდი ფორმები (სტუდენტის ბარათი, უწყისი, დიპლომის დანართი), სტატისტიკური რეპორტები. აღნიშნული სერვისი ასევე მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას - სტუდენტის აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით სისტემა აძლევს საშუალებას სტუდენტებს თავად დაგეგმონ აკადემიური კალენდარი,

დარეგისტრირდნენ დადგენილ დროს სასურველ სასწავლო კურსებზე (რასაც ითვალისწინებს სტუდენტის სასწავლო პროგრამა, სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით).

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად სტუდენტს თავისი პროფილის პაროლი ენიჭება. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტმა შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახის მომსახურება: განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება, ნახოს სასწავლო ბარათი, მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები, გაეცნოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალს, გაეცნოს სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გააკონტროლოს გადახდილი თანხები, მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ.

სასწავლო პროცესის მართვის სისტემა წარმოადგენს ვებსაიტს, განთავსებულს ინტერნეტში, რაც იძლევა საშუალებას ვისარგებლოთ ამ სისტემით როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის გარეთ, პერსონალური კომპიუტერით, ლეპტოპით, პლანშეტით, სმარტფონით, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. სისტემაში შესასვლელად ბრაუზერში უნდა გადავიდეთ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან (www.sjuni.edu.ge).

შეტანილი ცვლილებები:

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის N55 დადგენილება, ოქმი N10;
აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის N19 დადგენილება, ოქმი N2;
აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 თებერვლის N9 დადგენილება, ოქმი N4;
აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის N11 დადგენილება, ოქმი N3;
აკადემიური საბჭოს 2023 წლის 4 სექტემბერი N26 დადგენილება, ოქმი N8;
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის N731962 დადგენილება, ოქმი N6.